F158 № 260

საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 33 დამატების № 7

ფაგანი, 11 თებერვალი, 1917 წ.



† ოქტავ მირბო
(საფრანგეთის გამოჩენილი რომანისტი
(იხ. გაზ. „საქართველო“-ს დღევანდელი №)

შ ა ი რ ი.

ტკბილ შაირში ჩაიფერფლა
ბალჩის ვარდი, ფერად ჭრელი;
ტკბილ შაირში ჩაიქსოვა
სიტყვა მკვეთრი, სიტყვა მჭრელი.

მიტომ არის ზოგს რომ ატკბობს
და ზოგს ასე უღვთოდ ჰგმირავს;
მოდით ჰნახეთ, თუ ვინ ხარობს,
მოდით ნახეთ, თუ ვინ გმინავს.

სულის თვისტომნი

მიყვარს ია და სუმბული,
ვეტრფი ვარდსა, იასამანს;
გაზაფხულზე, ვით ბულბული
მათ ვუმღერ და ვუძღვნი სალამს!

მიყვარს, რადგან ჩემი სული,
მათ სინაზეს ემსგავსება;
მათებრ მრავალ-ფეროვნულად
გული გრძნობით აღმევსება.

მიყვარს, რადგან მათი გაშლა
ჩემს მიჯნურსა მომაგონებს,
როს შავთვალა, მოცქრიალე
ხელით ჰკრავდა ყვავილთ კონებს.

მიყვარს, რადგან მათის მზერით
სიყვარულთან სევდაც ჩნდება,
რომ მიჯნური ჩემთან ერთად
მათებრ მალე ჩამოჭკნება!

სანდრო შანშიაშვილი.

უ ც ე ბ ი

გული არ მიძგერს ზეშთაგონებით,
იყუჩა მუზამ უმეტეს, უფრო;
მაგრამა... მინდა უკანასკნელად
უცებით მაინც დაგასაჩუქრო:

გული ბუდეში აღარ მეტევა
და... გავამჟღავნო გრძნობა ნაფეთქი?
გეტყვი,—შენზე ვარ ჩაფიქრებული:
ვაი თუ მუზას დაჰშორდე მეთქი!
დაჰშორდე, მე რა? რა მენაღვლება?
მე არც მუზა ვარ და არც მგოსანი...
მაგრამა, ეჰვი:—იქნებ მუზაა,
მუზა იქნება!—იტყვიან სხვანი...

———

გული არ მიძგერს ზეშთაგონებით,
იყუჩა მუზამ უმეტეს, უფრო;
მაგრამა... მინდა უკანასკნელად
უცებით მაინც დაგასაჩუქრო.

ამორძალი

ვეფხვის ნერიში ქალზე.

თეთრი ზამბახი

(რომანი)

VII

მალის მთელ ღამით არ დაუძინია. ყოველისფერი მოჩვენება ეჯონა. ვერ წარმოედგინა თუ ლელომ შუბლზე აკოცა, ყველაფერი ეს ლელომ ჩაიდინა.

— იქნებ სიზმარში იყო?

ჰფიქრობდა იგი, უნდოდა წინააღმდეგში დარწმუნებულიყო, წარეშალა გუშინდელი დღე. როდესაც ეს ვერ ჰხერხდებოდა, სიბრაზე იცავდა. როგორ გაჰბედა, მაგას პარიზელი კოკოტები ხომ არ ვეგონეო. მაგრამ იმავე წუთს რატომღაც ბედნიერად სთვლიდა თავს, რომ ეს ასე მოჰხდა, რომ ლელოს ჰყვარებია. მან კარგად იცოდა, თუ ლელოს შორიდან რამდენი მათაყვანებელი ჰყავდა. უხაროდა, რომ ეს საზოგადოების კერპი დღეს მისი თავყანისმცემელია, ორს გრძნობას ებრძოდა. უკვე დარწმუნებული იყო, რომ გეგესთან კავშირი დარღვეული იყო, ყოველ შემთხვევაში—შებღალული.

— აქ ცოტა მეც მიდევს წილი მის დანაშაულობაში,—ჰფიქრობდა მალი, —ნება არ უნდა მიმეცა, რომ ამდენს სითამამემდე მისულიყო. სულ ჩემზე იყო დამოკიდებული. ადვილად შემეძლო მეგრძნობინებინა შორსა მდგარიყო, გამფრთხილებოდა.

ასე აყვედრიდა მალი თავის თავს, მაგრამ იმავე „შორს გადგომის“ აზრი მასვე ჰზარავდა.

— არა, შერიგება სჯობია... მოვა ხვალ, ავუხსნი, გადავუშლი ჩემს გულის პასუხს და გავაფრთხილებ... ვაპატიებ, რთგორც ძმას... ყმაწვილთა თავს ასეთი მშვენიერი სითამამე ბუნებრივიც არის და აუცილებელიც. განა რა არის აქ ან საკვირველი ან და არაჩვეულებრივი? ქვეყანა ვინ რით გააკვირვა ან გააკვირვებს?

მაგრამ ყველაფერი ისე არ მოხდა როგორც ჰფიქრობდა. ბევრმა „ხვალამ“ და „ხვალამ“ გაიარა, რომ ლელო არ გამოჩნდა. იგი ხელახლად დაიკარგა. მალი მხოლოდ ეხლა მიხვდა პირველ დაკარგვის ამბის მიზეზს. შფოთვა დაიწყო. გაზეთების თვალიერება დაიწყო, ხომ რაიმე უბედურობა არ შეიმთხვიაო. გაზეთები სდუმდნენ. კვირამაც გაირბინა. ლელო მაინც არსადა სჩანდა.

— ჭაბუკის თავმოყვარეობას ხშირად თანა სდევს გიჟური გატაცება. შესაძლებელია ლელო გაიქცა თბილისიდან, ვინ იცის, სისულელემ დასძლიოს და ყველა ეს არასასურველად დამთავრდეს.

შიშმა და მოუთმენლობამ გადაულია გული. უზომო წყურვილით აივსო უსათუოდ ენახა.

-- რადაც უნდა დაჯდეს, მაინცა ვნახავ,—გაივლო გულში. გარდასწყვიტა, და სისრულეში მოიყვანა ეს გარდაწყვეტილება. დღისით ვერ გაჰბედა. საღამოს ცხრა საათზე ქურდულად გაიპარა. ასე ეგონა, ყველა გულში ჩამიძვრა, იცის, სადაც მივალ, ქურდულად თვალს მადევნებს და დასცინის ჩემს უგნურს გარდაწყვეტილებასაო. ათასი ყური გამოიბა. ხმები და თვალები, ყოველგან ხმები და თვალები, რამდენიც უახლოვდებოდა ლელოს ბინას, იმდენად მოუსვენრობა იცავდა. გულმა ფანცქალი დაუწყო. აი, მივიდა კიდეც. ეს განაპირა უბანია. ლელოს სახლის ეზოს ალაყაფი ქარს გადაუნგრევია. სუსხავს. ნაადრევ ზამთრის ქარბუქი თოვლს აბორიალებს. მალის ეს კიდეც ახარებს. გახურებულს გულს აგებებს მის მკვეთრს ისრებს, რა არის მღელვარების ალმური როგორმე შემოუბუქდესო. აი, კიდეც მოჰკრა თვალი. ლელოს ოთახი განათებულია.

— შინ არის, შინ...

წაიჩურჩულა მალიმ და მღელვარე ბედნიერების საიდუმლო შეგნებამ ნაზად აუწითლა დასუსხული ლოყები. უნდოდა მიფრენილიყო მის სარკმელთან და საყვარელ ძუზასავით იდუმალის ხმით დაემღერნა გულის სასიზმრო სონეტები, მაგრამ სურვილის წინააღმდეგ რატომღაც ნაბიჯს უკლო. როდის როდის გადაჰლახა ალაყაფის ზღურბელი. მისდა საბედნიეროდ ყინვას და ქარბუქს მთელი ეზო შინ შეეკნა და პატრიარქალურ ძილით მოეცვა, როგორც ეს სჩვევია ყველა ქალაქის განაპირა უბანს, როგორც სოფლისა და ქალაქის ერთმანეთთან გადამბმელს რგოლსა. მხოლოდ ლელოს ოთახი იყო გაჩაღებული. პატარა ხის კიბეს ათიოდ საფეხურით აჰყავდით ზემო სართულის აივანზე. მალიმ ბევრი იბრძოლა, ვიდრე ამ კიბეს აირბენდა. გული საგულეს აღარ ჰქონდა.

— ნეტავ რას აკეთებს?—გაივლო გულში,—იქნება სძინავს? მაგრამ ოთახი რომ გაჩაღებულია? არა, არ სძინავს! ეგეც ხომ პროვინციელი არ არის! ალბად სწერს, ჰხატავს, ანდა ახალ კომპოზიციის შედგენაშია. იქნება ხელი შევუშალო. შევიდე? არა, მოვიცდი... ფანჯრიდან შევათვალიერებ... მაგრამ ამასობაში რომ კარი გამოაღოს? მე გავიქცევი... ქურდი ვეგონები და გამომიდგება... აია, აი გაიომიდგება... ანდა რა იქნება, გინდაც რომ გამომიდგეს და დამიჭიროს? ეეც გადვიხარხარებ... ისიც ხომ სიზმარშიაც ვერ ელირსებოდა ასეთი ქურდის დაჭერას.

მაოთლაც ქურდსავით აიპარა. ყმაწვილობის სითამამე და ჩერქეზობა აქ გაეოადგა. ფრინვლის სიმსუბუქით აირბინა და უეცრივ სარკმელთან ისე გაჩხდა, რომ ოდნავი ხმაურობა არ გამოუწვევია. აქ კი გაჩერდა. იდაყვ დაყოდხობილი კედლიდან ცქეოად გარდაიქცა. ძქირდავი თვალი სწრაფად აოჩევდა ყოველისფერს. ლელო უგალსტუკოდ ეოთი ჟილეტის ახაბაბარად საწერ მაგიდას ძიჯდომოდა და გატაცებით რაღაცას სწერდა. მალი შეიპყოო მის კალმის ნავარდობამ. თვალი ვერ ბოეშორებინა კალმის წვერისთვის. ლელოს საშინელი დაქახცვა ეტყობოდა. აბაჟურის ბომწვანო ლახდი ავადძყოფეოს ძეტყველებას უოოკეცებდა.

— ნეტავ რასა სწერს? უეჭველია, რომანი იქმება, ან და პოემა. ყველა ქართველი მგოსანია. ალბად ახლა მგოსხობასაც ბოჭკიდა ხელი. ყოველ შეძთხვევაში საძუაიკო და სამხატვრო კოძპოზიციებთახ არ უნდა გვქოხდეს საქმე. ახ და იქნება ბემუარებია? ბაგრად რის შესახეა?

ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა. უნოდა, ფერიად გაოდაქცეულიყო, შეპარებულიყო შიგნით, მის თავთან ფრთხილად დახოილიყო, ერთი ორი ოწკარი წაეკითხნა, შემდეგ ისევ დაბოუნებულიყო და აქედახ მიჰსაყვარლებოდა ძის ბეჯითობას.

დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო ასეთა მდგომაოეობაში. სახეზე და თვალებში რაღაც ბედნიერებისა თუ სიამაყის ლანდი დაჰკოთოდა, თითქოს ჰგოძხობდა, რომ ლელოს კალამი ძის იდუმალ ბრძანებათ გარდასცეძოდა გოგმახით. როდის როდის დაიფთხრიალა. ეს მაშინ, როდესაც ლელომ კალამი დასდო და წამოიწია. ძალი შეჰკრთა. ღიძილი გაუქრა ინტიქტიურად უკუ იქცა. კიბე და ალაყაფიც თითქძის სულ ფრენით გაირბინა. საოცარი სიარდით გაიარა მთელი ეს შესახვევი ქუჩა. მხოლოდ ეხლა შეჰნიშნა, ოომ თოვა დაეწყო. ბიზანი აქ მოსვლისა სულ დაავიწყდა. ელექტრონის ბოძთან სამაჯუოის საათი გასინჯა. ღამის პირველი საათი გადასულიყო.

— ღმერთო, ნუთუ სამი საათი ვიდექი?

გადიკისკისა.

— თითქოს მეც შეყვარებული ვიყო, ისე ვიქცევი.

იამა, რომ გიჟმაჟმა გატაცებამ ამ თავდავიწყებამდინ ბიიყვანა. არ გაევლო კიდევ ასიოდე ნაბიჯი, რომ უკან დაბრუნება მოისურვა, მაგრამ იმდენად ლელოსთან პირისპირ შესახვედრად არა, რამდენადაც ერთი თვალის მოსავლებად. გამობრუნდა. მიუახლოვდა, თუ არა, შეჰნიშნა, ლელო აივანზე გამოსულიყო და თავშიშველი დასეირნობდა. ოთახის კარი გამოეღო. უქუდოდ, გადაღეღილი პეჯაკის ანაბარად, თითქოს შუა ზაფხულის მთვარიანი ღამე ყოფილიყო. ისიც კი შეჰნიშნა, რომ ლელოს ყურადღეეა ბიიქცია. აწითლდა.

— რომ დამინახოს და მიცნოს?

ისე დაიჭირა თავი, ვითოძც უბრალო გაძვლელია. სწოაფად მეორე ტროტუაოზე გადავიდა, გახგებ ათიოდ ნაბიჯი გაიაოა, შეადგა, უცნობ ალაყაფის წიხ მოტრიალდა და ისე კედელ-კედელ თითქმის სირბილით გაბოვიდა სამშვიდობოზე. ფართო ქუჩაში გაძოსვლისას ერთხელ კიდევ გადიკიკისა, თითქოს კეკეძალულობაში ტოლეის თავი დაახწია და თვალიდან გადაეფაოაო.

უზოოდ კმაყოფილი იყო ამ ღამის ასე ვსთქვათ ექაკეოსიით. ეტლი გზად არ შეჰხვედოია და არც თუ ბევოად უნახია. კიდეც უხაროდა, ოომ ბიყუჩებულს ბუაეიას ქარბუქის ნაცვლად ახლა თოვლი ნახი ბაოდნით ოეთოს ნაბადს ასხავდა და საყვაოლად ეალეოსებოდა. ზიხ ბესვლისას სარკეში ჩაიხედა, იაბა, ოომ შობის ხესავით, უკედ ახლად აყლორტილ ტყის განაპირას ხოოჩ კვიპაროსის ეზგავსად თოვლს ასე ლაბაზად ბოერთო. კაოგა ხახა ჩამოსერტყვა ეხახებოდა. კეკლუცობდა. ბუფთიდახ ხელს აო იღეიდა და თან ჰფიქოობდა:

— ბეტავ ოა იქმება, ლელოც რომ ამდევხებოდეს და ეხლა ფანჯრიდან მიყუოებდეს?

ასე ეგონა, მართლა ეს ასე იქნებოდა. ამაყი პოზა დაიჭირა, ნათელი სახე ღიმილში გამოჭკვალთა და ოდნავი ყელის ბოღეოებით ბროფილი გაუჩერა საოკმელთან საგულებელს ლელოს.

— აია თუ ძხატვაოი ხაო, ასე გადმიღე, უკეთეს ბოდელს ვერ იშოვხი.

VIII

მალის შეუყვარდა ლელოს საოკმელთან ქურდული სტუმრობა. საოკაოია, ერთხელაც აღაო გაჰხსენებია თეატრი. ბისი დიდი გაოთობა ახლა ეს საოკმელი იყო. უხდოდა გაეგო, რას აკეთებდა ლელო. ქალური ცნობისმოყვაოეობა ჰკლავდა, მაგრად იმდენი გაძბედაობაც ვერ გამოეჩინა, ოოა გაოედ გაძოეხეო, ან და თვითონ შიგნით სწვეოდა.

— ხვალ იყოს, ხვალ... ხვალ გადასწყდება ყოველისფეოი... დღეს კი აქედან ვეალეოსეეი... პატარა ბაოათს დავწეო, ვუსაყვედურებ, ოომ დამივიწყა. ბაოათს კაოებთან დავუგდებ. დილით გაძოსვლისთანავე ნახავს, წაიკითხავს... უჰ, ოამდეხა გაიტახჯება, თუ კილო შევცვალე და სახელიც არ მოვაწეოე! ბიცხობს? ბიხვდეეა? არა, აია საიდან გაიგებს მას ხომ ჩემი ხელი არც კი უნახავს. მით უკეთესი, თუ ვეო მიხვდა! შეყვაოებულ ადამიანისათვის ყოველი საიდუმლო, მართალია, ერთგვარი ტანჯვაა, მაგრამ იმავე დროს სანუკვარი რამ, ბედნიერება.

ასე ჰფიქრობდა მალი, მაგრამ ყოველი „ხვალ“ ახალი „ხვალათი“ თავდებოდა. ვერც ლელო გამოეხმაურა და ვერც ბაოათი დაუტოვა, ვიდრე არ მოხდა ის, რაც ერთხელ მაინც

უნდა თავისით მომხდარიყო. ერთს სადამოს ჩვეულებრივ კიბე არც კი აერბინა, რომ ლელომ კარი გამოაღო. პირისპირს რომ შეეჯახნენ, მხოლოდ მაშინ შეჰკრთა. მალი შესდგა. შეიფრთხიალა უკან გამოსაფრენად, მაგრამ რაკიღა ვერ მოასწრო, იქვე მოაჯირს მოეჭიდა. წუთით დუმილი ჩამოვარდა. ლელო გაშტერებული დაჰყურებდა. ბოლოს მალიმ მღელვარება შეიკავა და ოდნავის ხმით გადიკისკისა.

— ვინ გნებავთ?

მალიმ მოაჯირზე თავი დაჰხარა და არ უპასუხა. იამა, ლელომ რო ვერ იცნო.

— ვინ. გნებავთ, ქალბატონო?

ლელომ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა.

— ვერა მცნობთ?

ლელო აენთო. მღელვარებით მიუახლოვდა.

— ნუ თუ?.. მალი, თქვენ აქ...

— მაპატიეთ, უდროვო სტუმრობისთვის...

— რასა ბრძანებთ, მობრძანდით... მობრძანდით...

ხელის ჩამორთმევისთანავე შიგნით შეიპატიჟა. მალიმ მიიღო ეს თავაზი.

— ხომ ხედავთ, პირველი მე მოველ შესარიგებლად,—უთხრა მალიმ შინ შესვლისთანავე და სავარძელში ისე ჩაეშვა, რომ ოთახის მორთულობისთვის არც კი შეუხედნია.

— რატომ დამივიწყეთ?

ლელოს პირდაპირ არ უპასუხნია.

— მანტო მოიხადეთ, მალი.

— არა, ასეც არა მიშავს რა.

— გაცივდებით...

— მაგისი ნუ გეშინიათ.

— თქვენ ისე მორთულხართ, თითქოს სადღესასწაულოდ მიემგზავრებოდით, მერე ასეთს დროს...

— თეატრში მივდიოდი. სურვილი აღმეძრა, თქვენც ყოფილიყავით. გულმა მიგრძნო, შინ იქნებოდით. პირდაპირ აქეთ გამოვწიე. ქუჩების ძებნაში მომიგვიანდა.

ეს პირველი იყო, რომ მალი ასე სცრუოდა. ლელომ საათს დაჰხედა.

— ეხლა დაგვიანებულია, პირველი ორი მოქმედება კიდეც გამოვიდოდა. წავიდეთ, ნუღარ დავგვიანდებით.

ლელო აფაცურდა, მაგრამ მალიმ შეაჩერა.

— მართლაც, არად ჰღირს, დავგვიანდით.

წამოდგა. ოთახს თვალი მიმოავლო.

— ბიჭოს, ეს კარგა მორთული ოთახია.

— კვალობაზე არა უშავს რა, რაც შეეხება მარტოხელაობით დატანჯულს ღარიბს ხელოვანს.

— ყველა ეს თქვენი ნაწარმოებია? მალიმ კედლის სურათებზე მიუთითა.

— დიახ.

— ჩინებული კალამი გქონიათ.

— აზვიადებთ.

— არა, ღირსების შეუგნებლობა პიროვნების დამცირებასა ნიშნავს.

— იქნებ, მართლაც, ოდესმე კარგი კალამი გამომემუშავებინა, მაგრამ ადრე ავიღე ხელი და რაც შემრჩა, ეხლა ეს მეც ალარ მაკმაყოფილებს.

— ხელი ავიღეო.

— დიახ.

— მიზეზი?

— არ ვიცი.

— უცნაურია. როგორ შეიძლება ასეთ კალმის მიტოვება? მუსიკაზე უფრო მხატვარი ყოფილხართ. პირდაპირ დანაშაულობაა ასეთი ნიჭის ღალატი.

— ეგ საყვედური არ არის პირველი თქვენს მხრით. საოცარია, ჯერაც ერთი ნახატიც არ გენახათ, რომ დაჟინებით ჩემს მხატვრულ ნიჭს ექომაგებოდით.

— მართალია, გული მიგრძნობდა, ინტუიციით მივხვდი, მუსიკაზე მეტად გამარჯვება მხატვრობაში გიქადდათ გვირგვინს.

ლელოს მორცხვად ჩაეცინა. მალი ცნობისმოყვარეობით სურათს სურათზე ათვალიერებდა.

— დიახ, დიახ, ეს არა... ამ სფეროში ნამდვილი ბატონი იქნებით... თქვენი რომ ვიყო...

— მაშინ?..

— ... ყოველისფერს ზურგს შევაქცევდი და ისევ ამ ხელობას დავუბრუნდებოდი.

— ოჰ, რომ შესაძლებელი იყოს.

— მერე რა გიშლით? რა არის აქ შეუძლებელი?

— ოჰ, ბევრი რამ...

— მაინც?

— პირველი და უმთავრესი—რწმენი დაკარგვა. ნუ გაიოცებთ. შემომხედეთ. ჭაბუკს აღგზნებული ცეცხლი ალარ მეგულების თვალებში, იგი ჩაიფერფლა, ჩაქრა... საშინელი დაღალვა მეტყობა ხომ? და მართალია! დავიქანცე, მალი, საშინლად დავიქანცე... შოლტულიდან გაკვრით ვიტყვი: ერთ დროს, ვიდრე სტუდენტი ვიყავი, ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ხელოვნების უსაზღვრო მოყვარულს მშობლები ხელს მიწყობდნენ. გამგზავნეს მიუნხენში, შემდეგ პარიზში. მაძა მომიკვდა, მაგრამ დედა არჩეულ მიზნის განხორციელებაში არ მღალატობდა. ჩამოველ-იმ დროს, ოდესაც რევოლიუციის ქარიშხალი ყოველისფერის გარდაფასებას ახდენდა. ერთი ძმა ბყავდა ეს და ერთიც რევოლიუციონერთა ბაირახტრად ითვლებოდა. მე, მის უმცროსი ძმა, სირცხვილით ვიწვოდი, რომ კაბინეთში ხელოვნებით ვიკვებებოდი იმ დროს, როდესაც გაოედ ქვეყნის მამონი სამწუხრო ხსხვეოპლის გაღებას ითხოვდა. შემრცხვა ჩემივე საქციელისა. გამოველ. მივივ წყე ჩემი პირველი მოწოდება ყური მივაპყარ ძმას ლოზუნგებს: „საერთაშორისო... ყოველისფერი ძმობა-ერთობისთვის... საზოგადო კეთილდღეობისთვის“-ძეთქი! ბეც ვიწამე რევოლიუციის ყოვლად შემძლებლობა. მოწამდა, ამით ქვეყნიერებას მართლა შვებას მოვუტანდი სამშობლო მივიწყებული, პირად მოწოდებას ზურგ შექცეული, ბედნიერად ვრაცხდი თავს, თუ საკაცობრიო იდეალებს მსხვერპლად შევეწირებოდი. მაგრამ დაჰბერა სინამდვილის ქარიშხალმა. რეაქციის ლახვარმა მრავალთა შორის გული გაუგმირა ჩემს ძმას. დედამ ვერ აიტანა წუხილი, შვილის დაკარგვას თან გადაჰყვა და მეც დავრჩი ობლად, ერთად ერთ შავი ფიქრების ანაბარად. მწარე განცდამ გათვითცნობიერებას დამაწაფა. დავინახე, რომ ყოველისფერი ის, რაც იდეალად მიგვაჩნდა, სისულელეა. ჩვენ არა გვაქვს რა... არა რა... არც ერთობა, არც სიყვარული, არც ნდობა ურთიერთისადმი, არც იმედი, არც აწმყო და არც მომავალი... საკუთარს ნიადაგს მოწვეტილნი ანძაზე მოწყვეტილს აფრას დავემსგავსეთ, რომ ყველ მხრის ქარის ქროლვას სტიქიურად გავყვეთ თან. ვიტიროთ, თუნდაც სატირელი არა გვქონდეს რა და ვიცინოთ, თუნდაც ცხელდარი თვალწინ გვედგას. განა საკვირველი იქნებოდა, რომ გუშინდელი მებრძოლნი დღეს დაექსაქსულიყავით, უარგვეყო ყოველისფერი და პატარა ქონდრის კაცებსავით თავშესაფარი გვეძებნა მთავრობის დაწესებულებათა მოხელეობაში თუ ჟანდარმთა გვერდით? განა საკვირველი იქნებოდა, თუ მთელი ერიც, ასეთ შვილების ანაბარად, ეხლა მხოლოდღა იმით ერობს, რომ სანუგეშებლად მოლუღლუღე, მბოდავი იდეალებით იკვებავს თავს, არც სასოება შეუძლიან და არც წარკვეთა იმედების?

— არ ვიცი, ვერ შეგეკამათებით, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ სცდებით. ყოველ შემთხვევაში, არ გშვენით, რომ ჭაბუკი ეგრე მალე დაცემულხართ სულით. იდეალებს ბოდვა მიაწერეთ დამარცხების გამო. ტლახქი ძალის გამარჯვება კიდევ არ ნიშნავს იდეალთა დამარცხებას და მათს უვარგისობას. გავიწყდებათ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ არ არის არც ერთი „საბოდიალო“ იდეალ, თუნდა კეკლუც უტოპიის სამოსელში გამოკვალთული, რაიც უკეთილშობილეს მიზნებს არ შეიცავდეს და მისკენ გადადგმული ნაბიჯი არ სწმედდეს, არ აბედნიერებდეს ადამიანს, პროგრესისაკენ არ ეწეოდეს დაძაბუნებულს კაცობრიობას. ფართო, მშვენიერი, კეკლუცი იდეალების ბოდვა, ოაც კი ნათელთან და სამართლიანობასთან გვაახლოვებს, გვამაღლებს, რაც გვაფხიზლებს და ხელს გვიწყობს ერთმანეთის გაერთიანებაში, შეწყნარებაში, თუნდაც მცდარი იყოს ის, პლატონიური, მაინც სათაყვანოა და სახუკვარი. ამ მხრივ ერთს ყერტილზე სდგანან ბუდდა, ქრისტე, მარქსი თუ ათასი სხვა აზოოვებიის რეფორმატორი, რომელთა მოძღვრება სამართლიანად რელიგიურ ხასიათს იღებდა და იღებს ტანჯულ და გაწამებულთა წრეში, სადაც ასე რიგად ჰსაჭიროებენ და ეტრფიან მითიურს განთავისუფლებას. მაშასადამე, უაოისყოფა ძისი, გმობა, ზურგის შექცევა, ისიც განათლებული ადამიანის ძიერ, ვისაც ევროპა მოუვლია და მეცნიერება-ფილოსოფიაში ჩაუხედნია, არა თუ შესაწყნარებელი, მაპატიეთ, მაგრამ დასაძახისია, დასაგმობი.

ლელო მღელვარედ ყურს უგდებდა. უნდოდა შეეჩერებინა, გეთანხმებით, მაგრამ ყველა ეგ პირობითია, ყოველ შემთხვევაში სინამდვილისთვის არავითარს სასარგებლოს არ წარმოადგენს თუ კი ჭარბი გატაცება მდგომაოეობას დაგვავიწყებს და ფანტაზიორობას შეგვაჩვევს ისედაც დარდიმანდს და ისეთს ფანტაზიორს ერს, როგორიც ჩვენი ერი არისო, მაგრამ სიტყვების ძებნაში დაიბნა:

— ჰო, ჰო, შეიძლება თქვენ მართალიც იყოთ... შეიძლება თქვენ... მაგრამ ყოველთვის და ყოველგან ერთი რამ მაინტერესებს: შეძოქმედების ძალა! სადაა მერე ეს ძალა? სადაა ზეშთამგონებელი და შემოქმედი ძალა, რომ კეკლუც იდეალთა რეალობაში და შესაძლებლობაში დამარწმუნოს? ამიტომაც ვაქცევ ზურგი და კვლავ ჩემს ძველს მოწოდებას დავუბრუნდი. ჩემს მეოანქოლიას და ერთგვარ მიზანტროპობას იხევ ხელოვნებამ ჩასკა მახვილი. მუსიკა ციურს ხმებს მაგონებდა, მხატვრობა მოჩვენებითია-ლანდებს გარდმომაცემინებდა და ... ნობას მასწავლიდა, ვიდრე არ მოხდა ახალი კატასტროფა, ახალი რეაქცია ჩემს სულის სიღრმეს. მაგრამ ამ ჟამად რეაქციონერთა ფარშუბით სულ უცხო ვინმე გამოვიდა. აი, მობრძანდით ჩემს ატელიეში, იქ დაინახავთ ყოველისფერს.

ლელომ თვის სახელოსნოში გაიყვანა. ეს იყო ფართო ოთახი, შუშაბანდიანი კედლებით და მინის ჭერით. აქა-იქ შეხვეული სურათები, კედლები კიდევ ესკიზებითა და ეტიუდებით სავსე, ხოლო შუაზე მოლბერტი იდგა ის-ის აყო ახლად დამთავრებული სურათით.

— ხომ ხედავთ, მალი, მხატვრობაზე ხელის აღება აბსოლუტური არ გაძოდგა, როგორც ტორიჩელის სიცარიელე. დააკვირდით, ეს უკანასკნელი სუოათი სულ ეხლა-ხანს გავათავე. ჰქვიან „ძიება“. მთელი ჩემი უკანასკნელი სულიერი გახცდა აი ამ საცოდავ ხატვრის მოღუშულს ბეჭებში უნდა დაიხახოთ.

ძალი გატაცებით უმზერდა სურათს. კლდის პირას ნაპრალზე ჩამომჯდარი, ძუხლებზე იდაყვ დაყრდნობით და სახეზე ხელ ციფარებით ქვითინებდა მხატვარი. მის წინ ისარ გარეშბილი გული ეგდო. ნაგრეევთა ქაოსის თავზე ბუქი ტოხეებით შეღრუბლულს ფოხზე მოჭრთოდა მშვენიერ ასულის ბოკისკისე ჰაეროვანი სახე.

— რა მშვენიერია,— აღტაცებით წამოიძახა მალიმ,—ნუ თუ ეს ახლა ბოლოწარით?

— დიახ, ეს სწორედ დღეს დილით დავამთავრე, უკანასკნელი სურათი გახლავსთ...

— უკანასკნელი სურათი! ღმერთო, ამის შემოქმედი დაძარწმუნეს, ვითომც ზეშთამგონებელის ეახიანობას გაექცევა სადმე და „უკანასკნელ“ სუოათით უკანასკნელს წეოტილს დაჰსვაეს. ვიი არის, ან რა სიძბოლოა ამ მხატვრის წინ პერსპექტივებში რომ ჰაეროვანი სახით მოჰკრთის?

— ეგ ძოთიაათინე ქალწული მხატვრის მუზაა, კისკასით ახალ იდეალისკენ იწვევს, მაძიხ, როდესაც პირველ იდეალის მიხწევას გაგმირულ გულით უსახავს.

— დრამატიულ მომენტს გადმოსცემს.

— დიახ, დრამატიულს... მხატვარს ესმის ძისი კისკისი, დასდევნებია, გულ გაგმირულ იდეალთან ჩაუჩოქნია და რომ ახალსაც ვერ დასწევია, სასო მიხდილი ეხლა ჰგოდებს.

— რა მშვენიერია!

აღტაცებით განიმეორა მალიმ. რამდენიმე ხანიჯი გადასდგა ცხოვისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. უეცრივ შეჩერდა, წატორტმანდა.

— მალი!..

სწრაფად ხელი მიატანა. მაგრამ ხელის ხლებაზე, მალის გაათრთოლა, გონი მოიკრიფა, ინსტიქტიურად მოიშორა და თავი თვითოხვე შეიკავა.

— დამაცათ... ხელი არ მახლოთ...

— მალი...

— არაფერია, არაფერი...

ნაძალადევად ჩაიღიმა. მოდუნებული ხელი შუბლზე გადაისვა და სწრაფად თვალი მოაშორა „ძიების“ ჯადოსნურს სიმლიერეს და მის მთავარ საგანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთინათინე ქალწულის ლანდს, რომლის ჰაეროვან მეტყველებაში თავისი სახე დაინახა.

IX

სახელოსნოდან ისევ სადარბაზო ოთახში გამოვიდნენ.

— იცანით?

ჰკითხა დუმილის შემდეგ. მალიმ უსიტყვოდ თავის დაქნევით დასტური დასცა.

— ხომ არ მიწყრებით?

ნალის პასუხი არ მიუცია.

— თუ ასეა, ეხლავე გავანადგურებ, მალი...

დანას ხელი წამოავლო და სახელოსნოს კარი გამოაღო.

— ხომ არ გაგიჟდით. რას სულელობთ...

ლელომ დანა დაუშვა.

— მაშ არ ჯავრდებით?

— არა. ან რა მაქვს გასაჯავრებელი. პირიქით, მოხარული ვარ, რომ სულ ხელი არ აგიღიათ მხატვრობაზე.

— რა ბედნიერი ვარ, მალი, რა ბედნიერი, თუ მართალია ეგ სიტყვები.

— გულწრფელად გეუბნებით.

— ვფიცავ, ამიერიდან სულ ამ სფეროში ვიმუშავებ.

— მართლა?

— ოღონდაც ნუ გამიჯავრდებით... აი, ეგ სულ უკულოდ ნახატია. არცა ვარ გასამტყუნარი. უიმედობამ ძალა წამართვა, მალი. გულ გატეხილს აბა ხელოვნებისა სადა სცხელა? მთელი ჩემი ცხოვრება კეკლუც ლანდთა თინათინებაშია, თვითეულის დაახლოებაკი ისრით გულს მიგმირავს. ცხოვრებაზე სწორედ ამიტომ გამოვიტანე ის მწარე დასკვნა, რომ სიცოცხლის აზრი, მისი ფილოსოფია მხოლოდ უცნაურ ლანდთა თინათინებაშია და მათს დევნაში დამარხული. თინათინება, დევნა, მოტყუება, მოქანცვა და ასე დაცემა. აღარა ვმალავ, ვიდრე უკანასკნელი უსიტყვო სცენა მოხდებოდა, ჩვენს შორის არავითარი კატასტროფიული არა იყო რა, შორიდან გეტრფოდით, შორიდან გესიყვარულებოდით. თქვენ არ გსურდათ შეგეგნოთ, ან და დაგენახათ ჩემი ტანჯვა, თორემ სულ ბრმა უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ ჩემს არაჩვეულებრივს მიზანტროპობაში თქვენი სიყვარული არ დაენახა მიზეზად. პირველ შეხვედრისთანავე დამიპყარით. მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. სწორედ იგივე განმეორდა, რაც რევოლიუციის დროს. საკაცობრიო იდეალთა ნარნარმა ხმამ მოჰხიბლა მაშინ ჩემი გამოუცდელი ყრმის ოცნება, მათმა სიტურფემ დამავიწყა ყოველისფერი. ეხლა კი ჭაბუკს შენ მომეცვლინე მოთინათინე იდეალად. პირველი ჩემი თქვენდამი გატაცება მუსიკაში გამოვთქვი. ის სერენადა, რომელსაც ყოველ დღე უკრავთ, თქვენდა სასახელოდ დავწერე. უცნობი კომპოზიტორიც მე გახლავარ...

— აჰ!..

ოდნავის ხმით ამოიკივლა მალიმ. თვალებზე ხელი მიიფარა. გამოურკვეველ ბედნიერებით უზომოდ დაიტანჯა, გაბრუვდა, ლელოს აღსარება ნახევრადაც აღარ ესმოდა.

— ეს ასე იყო, ნაგრამ თქვენ თქვენის გულუბრყვილო ჭიკჭიკით და ერთგვარი განდობით ისეთი საიდუმლო გამოამჟღავნეთ, რომელიც ბასრი მახვილივით მოჰხვდა ჩემს წმიდა გრძნობებს. თავს ძალა დავ[illegible]რდა, აღარ მენახეთ, ჩამოგშორებოდით, დამეკარგეთ, რომ მაცდურობას ავცდენოდი, მაგრამ თქვენ თვითონ საბედისწერო ფარვანასავით დალიფლიფებდით ჩემს გარშემო. გეგე, ჩემი საუკეთესო სიყრმის სწორი და მეგობარი, შემძულდა. მაპატიეთ ჯულახდილობა, მაგრამ ვერ ვიცრუებ. მსურდა, მენახა, გამეწვია ორთა ბრძოლაში, რომ ბედნიერების დაუფლებაში ან ჩამოვეშორებინე, ან და თვით მე ჩამომეშორებინა. მაგრამ თქვენ ისე გატაცებით ლაპარაკობდით, იმდენად ბედნიერს გხედავდით მაზე ოცნებით გატაცებულს, რომ ჩემს თავს უფლება ჩამოვართვი გიგეს შევცილებოდი და თქვენც მწუხარებისგან დამეხსენით. გენიის ცეცხლმა დაისადგურა ჩემს გულში. გავნადგურდი. რა ვარ, ანუ ვინა ვარ? რად მოველ ამ ქვეყნად? სიცოცხლე ჯანსაღ კაცს მოითხოვს, მებრძოლთ, მე კი ერთი უსაპყარესი აჩრდილთაგანი ვიყავი, ზედმეტი ადამიანი, რომლის მოსპობით ქვეყანას არა დააკლდებოდა რა. შურს ჩემს თავის წინაშე ვძიობდი. მაგრამ განა როდისმე დამიყვედრებია, ეს თქვენს გამოისად ჰხდება მეთქი? გულში ვიკლავდი ყოველს ზრახვას. მეშინოდა, საიდუმლოს გამომჟღავნების, ვაი თუ ამით თქვენს ბედნიერებაში რაიმე ჩრდილი ჩაეცსოვოს მეთქი. მიყვარდით, ვგიჟდებოდი თქვენის სიყვარულით, გონი ვერც ეხლა მომიკრებია იმის დასაშველებლად, თუ ოდესმე უთქვენოდ გავძლებ, მაგრამ განა როდისმე გამიგონებია თქვენთვის ოდნავი საალერსო სიტყვა, თუ რა გრაციითა და სინაზით სავსეა თქვენი ყოველი ნაკვთი, ყოველი თქვენი სახსრის მოძრაობა? თქვენ დედოფალი ხართ და სადედოფლოდ გაჩენილი, მაგრამ განა როდისმე რამე მითქვია თქვენს მეფურ მშვენიერების შესახებ, საროსის ვარდის სიკიკლუციზე, ამ საროტანის მოქნილობაზე, გაშლილ მხრების სიკიკლუციზე თუ ამ კულულა ტევრთა ანდამატურს ელვარებაზე?

— გეყოფათ, გეყოფათ...

ნახევარ კვნესით შეჰნიშნა მალიმ, მაგრამ ლელოს გატაცებას ფრთა ვერ შეუკრა.

— მე ხომ გაშლილი არ მინახავს ეს კულულები. უეჭველია, განსაცვიფრებელი რამ უნდა იყოს, რადგანაც შიშველს მხრებზე ჩამოგშლებათ... ნამდვილი ფერიის სანახაობა უნდა იყვეთ...

— ღვთის გულისათვის, ლელო, ეგრე ნუ ამბობთ, ნუ...

მღელვარებით შეჰნიშნა ხელახლად მალიმ.

— რატომ, მალი, რატომ? ნუ თუ გაწყენინეთ?

— არა, მაგრამ უფლება არა გაქვთ ასე მელაპარაკოთ, გესმით, უფლება არა გაქვთ, იმიტომ, რომ... იმიტომ... რომ... სულ სხვა ხართ... მეგობარი... დიახ, მეგობარი, მაგრამ... უცხო...

თვალებზე ხელი მიიფარა. უზომო მწუხარების ლანდმა მის სახეზე აშკარად აღბეჭდა, თუ რა ძვირად ულირდა მალის ეს შენიშვნა. ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილი ცრემლს ძლივს იმაგრებდა. სიბრალული თუ სიყვარული? სიყვარული თუ სიბრალული? თქვენ ვერ გეტყოდათ, თუ ამ ორს ცნებაში რომელს აძლევდა უპირატესობას, ან რომელ ერთით ხელმძღვანელობდა, რომ ფეხის დარტყმით არ წამოხტა და დემონსტრატიულად არ მიატოვა უცნაურად მოუბარ მასპინძლის ბინა.

— ჰო, სხვა, სხვა... უცხო... ასე დამცინის ჩემი ბედი. მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ღა ეს ხმა მესმის, შორს იდექი, შენ სხვა ხარ, სხვაო! დამცინეთ, მალი, თქვენც დამცინეთ. დამცინართა შორის, რაც უნდა იყოს, უპირატესობა თქვენ გიკუთვნით. არა ჯავრობ, არას გაყვედრით. მე ზღაპრებით მიცხოვრია და ზღაპრებითვე მიწერია ჩავიდე საფლავს. განა ეს ასე არ არის? აი, ხელი რომ გამოგიწოდო, მაგ ნარნარი თითების საკოცნელად, არ შემიწყნარებთ, იმიტომ, რომ სხვას ეკუთვნით და მეც... უცხო ვარ...

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)



ბრ. მარრი და მიხი კალატოზები.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**